

# କୋର୍ପ୍ସ

0471363420  
803-40000333

1981

„ციმბირის ჟავამ“ — ნეიტორ კალანდარიშვილ-  
მა, რომელიც სამოქალაქო ომის ნლებში ციმბირში  
ხელმძღვანელობდა ოთორგვარდიელების ნინააღმდეგ  
მებრძოლ პარტიზანულ რაზმს, საარაკო გმირობით  
უკვდავება მოიპოვა. მან საკუთარი სიცოცხლე მსხვერ-  
პლად მიიტანა რევოლუციის მმინდა საქმის საკურთ-  
ხეველზე. დღეს „ციმბირის პაპის“ სახელოვან ტრადი-  
ციებს აგრძელებენ ქართველი ჭაბუკები და ქალი-  
შვილები, რომელებიც სასახლოდ იღვნიან ბაიკალ-  
ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე.

ნოარი ეპლენება გაიკალ-ავარის მაგისტრალის ქართველ გენერალებს




# ნიაზე

დამშვროაო  
მდუმარების ყინული,  
ლენაზე რომ  
გარსროლეს თოფი..  
ამ ხმას მოჰყვა  
შემართება გმირული,  
ეპოქას რომ  
სიამაყედ ჰყოფნის!  
ცოცხალი რომ  
ყოფილიყო იღიჩი,  
აღიქვამდა  
დღეს სხვანაირ გამას, —  
გზა გაუსწინა  
ჩვენს შეილსა და შვილიშვილს  
საუკუნის  
მაგისტრალზა — ბამბა!  
გზა გაუსწინა  
სახვალიო დღისათვის,  
რომ დაიყრონ  
საკუთარი სივრცე,  
რომ დღვილად  
მიაღწიონ მიზნამდე,  
იზეიმონ  
ბუნებაზე ცივზე!  
მოეფინოს  
ჭალაქები ამ არეს,  
დეკაბრისტებს  
რომ თომავდა ყინეით  
და ჩავდასწით  
მათ ნაადრევ სამართ:  
„იხარებდით  
დღეს ამ მხარის ხილვით,  
ცნობილი რომ  
იყო ცრემლით, სიცივით!..  
ნახავთ, როგორ  
შეიმშვენებს სიჩბილს  
და გადაუფრენს!  
გაუხედნავ ევიცივით  
თბილისური  
ელმავალი ციმბირს!“  
ისმის ქება,  
ას ენაზე ნათარგმნი,  
დრო არ ითმენს  
და თხოულობს ლექსებს,  
რადგან დღეს დრო  
ასკინებილს გადარჩის  
რითმებივთ  
ჩარიგებულ ჟღლებზე!  
მე მაოცებს  
ძალა ხალხის კუნთისა,  
მე მაოცებს  
შემოქმედის აზრის,  
ვინც შორსმჭვრეტლიდ  
დაიბადა, გულომისნად,  
ვისი ფიქრიც  
ლაზერია ბასრი!

... და გაგიმნელ,  
რადგან გული გულია:  
ღირს ცხოვრება  
ამა დღეთა გამო!  
ჩემს სიყვარულს  
ხომ არ ჩამოუვლია  
შენს ორლესულ  
ლიანდაგზე, ბამო?!

ჯემალ ინჯია



ანზორ დვალიშვილი

ცივიჩი, შორეული აღმოსავალეთი! ბაიკალ-ამურის მაგისტრალი დღეს გმირობისა და ვაჟკაცობის სიმბოლოდ იქცა!

„რათა ნახო ყინვის კვერთხი  
და იცხოვრო კაცივითა,  
უნდა გაციმბირდე ერთხელ,  
ვით მრავალი გაციმბირდა!“

ჯანსულ ჩარკვანის ეს სტრიქონები დღეს მრავალი ადამიანის სურვილს ესადაგება. ამიტომ იყო, რომ „ნიანგმაც“ ვერ გაუძლო ამ ცოტნებას, არ შეუშინდა ციმბირის სუსსს, ორიოდე კვირით მიატოვა მშობლიური თბილისი და შორეულ ტაიგას ეწვია. ეწვია და, ოი, საკირველებავ! — ციმბირის, ამ დალოცვილ მინაზე რამდენი სასახელო ქართველი მამულიშვილი იხილა! ბაიკალ-ამურის მაგისტრალის დასახლებანი — ზვიოზდნი, მაგისტრალი, კუნერმა, ულეანი, სევერომუსისი, ტაქსიმი, დიუგაბული, ჩარა, ტინდა, „ამურსკი კომსომოლი“ — ჩვენი დიადი ქვეყნის ყველა რესპუბლიკის და, მათ შორის, საქართველოს ნარგზავნილთა სასახელო შრომის ასპარეზად ქცეულა!

ისინი აშენებენ ხიდებს, საცხოვრებელ სახლებს, უსიერ ტაიგაში გაპ-

ყავთ გზაჭრილები, აგებენ რკინიგზის ლიანდაგს!..

ბამის დასავლეთ უბანზე საუცხოო საცხოვრებელ დასახლებადა ცნობილი ნია-გრუზინსკაია, რომელსაც აშენებს ორასამდე ქართველი მშენებელი, სამშენებლო საქმის დიდი გამოცდილების მქონე ანზორ დვალიშვილის ხელმძღვანელობით.

ჭაცი ვარ და ქუდი მხურავსო, ანზორ დვალიშვილმა უნდა თქვას. მართლაც, მის საოჯახო მუზეუმს მრავალი ქუდი ამშვენებს. აქაა ევგენი ევტუშენკოს ქუდი, იაკუტი და ბურიატი მეგობრების ნაჩუქარი ქუდები, ქართული ქუდების მთელი კოლექცია! მაგრამ ქუდი, რომელიც მას ხურავს, ღირსების, ვაჟკაცობის, მამულიშვილობის ნამდვილი გამოხატულება! რაოდენ სასიქადულოა, რომ მთელ ბამზე მისი თაოსნობით ქართველმა მშენებლებმა აიღეს ვალდებულება სკეპ X XVI ყრილობის გახსნის დღისათვის პირველებმა ჩააბარონ მუდმივი დასახლება!

— ბამის ყველა საშეფო ორგანიზაციას შორის, — აღნიშნა მთავარბამბშენის უფროსმა კ. ვ. მოხორცოვა, — საქართველოს რაზმი საუკეთესოა. ქართველები ჩინებულად მუშაობენ, მათ ძევლი ციმბირვლებიც კი ბაძვენ. განსაკუთრებული სიფაქიზით აშენებენ ისინი საცხოვრებელ სახლებს. გული გაგინათდებათ, როდესაც უყურებ მათ მიერ თეთრი და წითელი აგურით აშენებულ სახლებს. გხიბლავს მათი აგურის წყობის ოსტატობა, რომელსაც მთელ ბამზე ბადალი არ მოეპოვება.

ეს მაღალი შეფასებაა და ნია-გრუზინსკაიას მშენებლებს უფრო მეტს ავალებს. ახლა იქ დაძაბული შრომაა გაჩაღებული ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. საქ. ბამშენის ხელმძღვანელთა კაბინეტებში გვიანობამდე არ ქრება შუქი. ისინი ეძიებენ!.. ეძიებენ!.. ეძიებენ რეზერვებს და პოულობენ კიდეც!

სამუშაოთა დაწერების მიზნით მათ, მაგალითად, გადაწყვიტეს, რომ ნია-გრუზინსკაიას ტერასების საყრდენი კედლები, ძვირადლირებული გრანიტის ქვის ნაცვლად, მოაპირკე-

# ბაზარი


შეკვეთი შარქები 3. ფილმების

თონ ადგილობრივი ქვით. მონახეს დასახლების შემოგარენში მიტოვებული კარიერი, ჩამოიყვანეს ქვითმშენებლები საქართველოდან. ექსპერიმენტმა გაამართლა: ადგილობრივი ქვა ბუნებრივად შეერწყა ნია-გრუზინსკაიას რელიეფს. საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილის მ. კიკაძის რჩევით, საყრდენ კედელს სადგურთან მოაპირკეთებნ ქართული სტილით, რისთვისაც, თეთრი და წითელი აგურის გარდა, გამოიყენებენ ადგილობრივი რიყისა და ნაშალ ქვას. ყველა ეს ღონისძიება საგრძნობლად დააჩქარებს მშენებლობას, ამასთან ერთად დაიზოგება სახსრები, ძვირფასი სამშენებლო მასალები, რომლებიც საქართველოდან უნდა ჩამოეტანათ.

ამას ნინათ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მედლით — „ბაკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობისათვის“ — დააჯილდოვა ნია-გრუზინსკაიას მშენებელთა პირველი მერცხლები — ნადეჟდა, აზხორ და ვლადიმერ დვალიშვილები, შოთა კაკუშაძე, ციალა კიკაძე, ალექსანდრე კურტანიძე, გორგი თარხნიშვილი, ავთანდილ ლომიძე, კიმა ნადირაძე, აზხორ ლილუაშვილი, ვიქტორ თხელიძე და სხვები. სულ 18 კაცი.

ნია-გრუზინსკაიას მუდმივი დაბის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. ტაიგის გასწროვ ტერასებზე რამდენიმე რიგად არის გამნკრივებული წითელი და თეთრი ფერის აგურით ნაშენი ორსართულიანი და ოთხსართულიანი სახლები. ბინები კომფორტულებურია — ყველაფერი კედელშია ჩაშენებული, დაწყებული კარადებით, ლამაზად მოწყობილი სათაგსოებით დამთავრებული. მთელ ბაზზე „თბილქალაქის მიერ შესრულებული დაბის არქიტექტურული ანსამბლი საუკეთესოდ არის მიჩნეული.

ქართველი მშენებლები ყოველ ღონებს ხმარობენ იმისათვის, რომ სკუპ X XVI ყრილობის გახსნისათვის სამშობლოს უპატაკონ მუდმივი დასახლების დამთავრება. ამის გარანტიას



ვიქტორ მახარაძე

იძლევიან ვ. მახარაძის, ნ. ოპარინის, მ. დაბრუნდაშვილის, ს. გეგეჭყორის მშენებელთა ბრიგადები, რომლებიც ყოველდღიურ ნორმას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

1976 წელს ნია-გრუზინსკაიას ესტუმრა პოეტი ევგენი ევტუშენკო. ესტუმრა სწორედ მაშინ, როდესაც ტაიგის გაჩენილი ხანძარი გადაბუვით ემუქრებოდა დასახლებას. პოეტმა იხილა ქართველი ვაჟა-ცების მამაცობა და შემართება სტიქიასთან ბრძოლაში, რამაც კალამი აალებინა და მშვენიერი პოემა დააწერინა. მას შემდეგ ქართველებს არაერთხელ მოუხდათ ცეცხლთან ჭიდილი და ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდნენ. სწორედ ამიტომ ყოველთვის ამაყად და აღმაფრთოვანებლად უდერენ პოეტის სიტყვები პოემიდან „გზაჭრილი“, რომელიც შოთა ნიშნიანიძემ შესანიშნავად თარგმანა:

როცა მე რუსეთს კრძალვით  
ვახსენებ,  
ჩემს თავს ვერაფრით ვერ  
ვაპატიებ,  
თუ პატივს არ ვცემ ქართველს,  
ასევე

ყველა ეპრაელს, ყველა

ლატვიელს.

მე საქართველო ვიხილე ბამზე,  
ვნახე და მერე ვეღარ მოვეშვი.

იმ ბიჭებს ხვითქი სდიოდათ ტანზე,  
როგორც თბილისის აბანოებში.

დაბას აგებდნენ მკლავმოულლელნი, თუმც მნარედ კენედათ ქინქელის ღრუბელი.

მათ სულს ეს ჭონჭყოც ვერ  
გადათელავს, —  
ქართველი მაინც რჩება  
ქართველად!

მე მათთან ლხინში ვყოფილვარ  
ასვერ,  
მათი მადლი მდევს მეც იმთავითვე!  
დათვის ტყავები აცვიათ ბამზე  
„ვეფხისტყაოსნით“ გაზრდილ  
რაინდებს!

სტუმრად ვიყავი ჩემს ქართველ  
ძმებთან,  
როცა ხანძრებმა ტყე გადათელეს.  
დამფრთხალი ცეცხლი შიშისგან  
ყეფდა

და გაურბოდა მამაც ქართველებს!  
ნია-გრუზინსკაიას დაბის დასაწყისში აღმართულია ცენტრალური გათბობის საქვაბის დაახლოებით 12-სართულიანი სახლის სიმაღლის წითელი აგურით ნაშენი მილი, რომელსაც თეთრი აგურით ზემოდან ქვემოთ ჩამოჰყვება ნარჩერა: ნია-გრუზინსკა კიდევ მაშინ, სანამ აქ პირველი სახლის საძირკველს გახსნიდნენ, ქართველებს სურვილი დაებადათ, რომ დაბას ნია-გრუზინსკაია რქმეოდა.

— პარტიის ირკუტსკის საოლქო კომიტეტი, — თქვა სკუპ ირკუტსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნიკოლოზ აბანიკოვმა, — დიდად აფასებს საქართველოს ნარმომადგენლობის შრომას, საუკეთესოდ მიიჩნევს დასახლების პარტიულ ორგანიზაციასა და კოლექტივს. მათ თავიათი შრომით, ორგანიზებულობითა და დისციპლინით ნამდვილ დამსახურებს იმის უფლება, რომ დაბას ნია-გრუზინსკაია ერქვას!

... და იქნება პატარა ქალაქი ნია-გრუზინსკაია შორეულ ციმბირში, როგორც საქართველოს რესპუბლიკისა და საბჭოთა ხალხების უკმდავი მეგობრობის სიმბოლო!



# ჭამური ჩაბაზარში

განვითარება

**როგორც** თბილის ის ის აბანოები, ნია-  
გრუზინსკიას აბანოც მთელ ბამზეა განთქ-  
მული.

— შენი ჭირიმე, აბანო, შენა ხარ ჩემი  
განმკურნებელი! — მღერის პაპა და ლონივ-  
რად იცემს ზურგზე არყის ხის წკაპლებისაგან  
დამზადებულ ცოცხს.

— როგორც ვაპას საორთქლე თთახის სახელს  
რესენებთ.

— ერთხელ შევედი საორთქლე თთახში და  
ცოცხალ-მკვდარი გამომიტანეს იქიდან. კვე-  
ლაფერს შევეჩივი ამ ციმბირში და მაგას  
ვერა!

— ერთხელ კიდევ, — ამბობს კიმა ნალი-  
რაძე, — ნიალოზ ოპარინი შევიდა, მერე  
იქიდან გვივასავით გამოვარდა, ფანჯარა  
გადაო და შიშველი გადახტა... პირდაპირ  
თოვლში.

— რაც მართალია მართალია, ორთქლი-  
ვიდან მკვდარს აციცლებს. კაჟივითა  
ვარ აბანოს შემდეგ! — იძახის პავლე კირ-  
თაძე.

— ერთ შაბათს, — იგონებს პაპა, — როცა  
ქალები ბანაობდნენ, აბანოს ცეცხლი გაუჩინდა.  
ორმოცდაათგრადუსიან ყინვაში ქალები სულ  
პერანგისამარა გამორბოდნენ გარეთ. ყინვას  
წყალი გაეყინა მილებში და ჩვენ ვერაფერს  
ვშველოდთ. კინოსტუდიიდან ფილმს იღებდ-  
ნენ ჩვენშე. იციცხლეთ, იმათ გამოიყენეს მო-  
მენები: იღებდნენ კადრებს, თუ როგორი თავ-  
გამწირვით ვებრძოდით სტიქიას. მიუხედავად  
ამისა, აბანო მაინც დაგვეწვა, საქვაბე გადა-  
ვარჩინეთ მხოლოდ. თუმცა ერთ კვირაში ავა-  
შენეთ ახალი.

## ორმოცდაათ და ოცდაათგრადუსიანები

**ორთქლი** ნუგზარ პაგარაია ბამზე და-  
ქორწინდა და აქვე შეეძინა პირველი შვილი.  
სხვათა შორის, პირველი ბავშვი, რომელიც  
ნიას დასახლებაში დაიბადა.

— ჩემი ბავშვი 50-გრადუსიან ყინვაზე  
მყავს დაპროექტებული! — ამაყინს ნუგზა-  
რი, — საწარმოო გამოცდა უკვე გაიარა. ნამ-  
დვილი ციმბირელია, შესანიშნავად უძლებს  
მკაფრ ზამთარს!

— აი, ილოს ბავშვი, — ამბობს პაპა ალე-  
ქსი კურგანიქ, — ოცდაათგრადუსიანი. ზამ-  
თარს ვერ უძლებს. ამიგომ სასწრაფოდ უნდა  
წაიყვანონ საქართველოში!

— ასეც შერება, — იცინის პავლე კირთა-  
ძე, — შემოდგომით გადააფრენს საქართვე-  
ლოში. გაზაფულზე ისევ აქ მოჰყავს. ბეპე-  
ლასავით გადაფრინდით-გადმოფრინდის აკე-  
თებს.

— აა, ბიჭო, შენსავით მოვაყინვინებ  
ცხვირს ალმასივით ცქრიალა ბავშვს! — არ  
უდებს ცოლს ხუმრობაში ილო.

## გაგლარ გოგი

**კვევი** ალვან ელი ბეგლარ მიშიძე  
ევესი წელია მძლოლად მუშაობს ბამზე. დიდ  
„მაგირუსს“ მართავს.

— შორ რეისებში დავდივარ, — თქვა მან,  
— ბრაგსკიდნ და სევერობაკალსკიდნ ვე-  
ზულები გვირთს. ხან სად მიღამდება, ხან სად  
მითენდება, ვინ იცის!.. დავქორნინდი, საქარ-

თველოდან ჩამოვიყვან მეუღლე. ხუთი თვეის  
ბავშვი მყავს უკვე. ჩემი ძმაც აქ მუშაობს,  
კალაგოზია. ბრაგსკში გაუშვეს სახლის ასა-  
შენებლად. მშენებლობას რომ მორჩება,  
მაშინ ერთად წავალთ საქართველოში შვე-  
ბულებით, ცოლი უნდა შევრთო.

— საცოლე ჰყავს?

— არა.

— აა, ასე უცებ როგორ შეირთავს ცოლს?

— ღვთის მადლით, კარგი ოჯახი გვაქვს;  
მამა, ივანე, კოლმეურნების სარ-  
ქალია. ჩავალთ, გავიცლ-გამოვივლით, რომ  
დაინახავენ საცოლე ვაჟაცაც, გოგონები თვი-  
თონვე დახევვიან. თანც ბამი მოდაშია,  
რომ უსხესნებ, მეტი არ უნდათ! მეც ასე მო-  
ცეყვანე ცოლი: ვუთხარი, ბამზე წაგიყვან-  
მეტე. სიხარულით გამომყვა. ბამი რომ ნახა,  
ორი კვირა ჩუმად იყო. მერე გაბედა და მით-  
ხრა, მე ქალაქი მეგონა ბამი! ახლა ისე შეუ-  
ყვარდა აქაურობა, საქართველოში წასვლას  
ვერ უსხესნებ.

## კითვის გამარჯვება

**თემარ** და რჩია შვილმა მიამდო:  
ჩვენთან მშრალი კანონია. არაყ მხოლოდ და  
მხოლოდ ანზორ დვალიშვილის რეზოლუციით  
იძლევიან, ისიც ღლესასწაულებზე. ამიყოლია  
ცუუნებამ და გადავწყვიტეთ, არაყი გამომეხა-  
და. მაღაზიაში ქიშმიში ვყიდე, დავალბე  
ქვაბებში და ერთ კვირა დღეს თვითნაკეთ  
საარყე ქვაბებში გამოხდა დაგიწყე. შესამოწ-  
მებლად გამოცდილ და ბრძენ ადმინისტრა-  
ცაში ალექსი კურგანიძესა და კიმა ნალირაძეს  
დავუძახე. მათ დააჭაშნიერს არაყი და ძალშე  
მოეწონათ. ცოგა ხანში ერთმანეთს სიყვა-  
რულს უმტკიცებდნენ. არც სხვები დამზარდენ  
ნაცოდვილარის შემოწმებას. მოღიოდნენ ჩუ-  
მად, თითო-თითოდ, ორ-ორად. გაღიოდნენ  
ბარაცით. ამ დროს დვალიშვილი კლუბის  
წინ ვერანდაზე იდგა. ხედავს — შემოდიან  
ჩემს ბინაში, მთვრალები გამოდიან. ჯერ პაპა  
და კიმა რომ დაინახა, იფიქრა, ესენი სერიო-

ზული ხალხსა და შემონახული ეწერშოდათ  
სასმელიო, მაგრამ სხვებისა კი ძალიან გაუ-  
კვირდა.

— ვარძიაში დღეობა დიდიი!... — ხმამა-  
ლი ჩაიძლერა კლუბის წინ აფციაურმა.

— სად არის დღეობა დიდი? — დაინგერე-  
სდა ანზორი.

— ვარძიაში, ბაგონი!

— ვარძიაში კი არა, ახლა სად არის?

— აგრე, ბაგონი, თემურისთან! — ხელად  
გამოგყდა აფციაური.

პუსკუ ექიმი და ანზორ დვალიშვილი უმალ  
თავს დამესხნენ. მე არყის მორიგი ბოთლი  
აკანკალებული ხელებით მიმქონდა თაროზე  
დასადგმელად.

პუსკუ მენზურაში ჩასახა არაყი (ჭიქაში  
მაიც ჩაესახა!), დაყნოსა და გაკვირვებით წა-  
მოიძახა:

— მართლაც არაყია, ანზორ ვარლამოვინი!

— არაყია, აა, კომპონეს ხომ არ გავაკე-  
თებდი ეს კახელი კაცი! — გამიკვირდა მეც.

ასე დაესვა წერგილი ბამზე ჩემს „ზავო-  
დობას“.

## ვაცი ვაცი და... გაერალური გეგა!

**ინა-გრუზისკიანის** „მშვენება, სიამაყე და  
სიმბოლო“ არის ვაცი პეტია, რომელსაც წარ-  
მოუდგენია, ცოლი არ მყავს ქვეყანაზე, ისე  
ამაყად დააბიჯებს რესთაველის ქუჩაზე. დაუ-  
კითხავად ესტურმება რომელიმ იჯახს და  
საამ რამ სასუსნაც არ ჩასანსლებინება, მანამ აბაკუნებს ფეხებს და აცანცარებს წვერს.

ერთი დღიდ ცოდვა აძევს კისერზე პეტია: ერთ ჯერზე მთლიანად შეჭამი ნია-გრუზისკიანის მშენებლობის გენერალური გეგმა, რო-  
მელსაც ორ კვირას ხაზავდნენ და ხაგუდნენ  
შშენებლები!.. მთავარი ინიციენტი მოსაკლავად  
დასდევდა, და, როდესაც მოიხელთა, სასტი-  
კაცი იცემა! იცოცხლე, პეტიამ სამაგირო გა-  
დაუშადა: ერთხელ მთავარი ინიციენტი, სტუ-  
მარ ქალთან ერთად, რესთაველის ქუჩაზე  
თავიმოწონება მისებრინბდა, პეტია რექინი  
ეცა და ყირამალა გადადაგრიალა ამოდენა ვა-  
კციცია!

ამის შემდეგ დასახლებაში თუ რამე და-  
კარგებოდა, პეტიას აბრალებდნენ. მდგომა-  
რეობა ისე გამწვავდა, გადაწყვიტეს, მშენე-  
ბლის დღის ზემთან დაკავშირებით, პეტია  
დაეკლათ! თითქოს გულმა უგრძნოო, იმ  
დღებში პეტია გაიგაში გადაიკარგა! კველა  
გული დაწყედა! მხოლოდ მაშინ მიხედონ, რომ  
უპეტიონ ყოფილ ყოფა ინგერესს ჰყავდა!  
ნანობდნენ, ასე უდვითოდ რომ გაიმეტეს! რომ  
დღის შემდეგ პეტია კვლავ გამორჩენდა და  
ჩამარჯვებოდა გადაკუნძულებად გადაკუნძულებად  
მაღალაში მისებრინბდა, პეტია რექინი  
ეცა და ყირამალა გადადაგრიალა ამოდენა ვა-  
კციცია!



# არც ისე პატარა ყოფილა ტაიგა!..

ეს ამბავი ასე მოხდა:  
ნია-გრუზინსკაიაში ვერტმფრენი დაჯდა.  
კვამლით გამურულმა ძილობმა ძლიერ ამო-  
ნიქვა სული და ძლიერ თქვა:

— ტაიგა იწვის!.. ათი კაცია საჭირო!..

ბამელები, დიდი ხანია, მიეჩინენ იმ ამ-  
ბავს, რომ ტაიგაში ხან აქ, ხან იქ იფეთქებს  
ხოლმე ხანძარი!..

ახლაც შევულებრივ ჩაჯდა ვერტმფრენში  
ათი კაცი, ვინც პირველი მივიღა ასაფრენ მო-  
ედანთან, მათ შემორის იყო პარტიული ორგანი-  
ზაციის მდივანი ჯემალ ფალავა, საგეგმო გან-  
ყოფილების უფროსი რმარ გაჩერილაძე, ავ-  
თანდილ ლომიძე, კიმა ნაძირაძე და სხვები—  
სულ დარჩეული ჭაბუკები!

ვერტმფრენის პილობმა ბიჭები გადაიყ-  
ვანა, ხეობაში ჩამოსვა და უთხრა:

— ბიჭებო, აქ ერთი დღის სამუშაო! გზა  
გადაუკეთეთ ხეობაში ცეცხლს და მერე  
ჩააქრეთ! საღამოს ისევ მოვფრინდები და  
ნაგიყვანთ!

ქართველები დაერიგნენ ნაჯახებით, ბარე-  
ბით, ნიჩბებით... ზოგან თხრილი გაქრეს, ზო-  
გან ხეები ნააქციეს და მიწა მიაყარეს. ერთ  
საათში ცეცხლს ფარ-ხმალი დააყრევინეს.  
მთელი დღის საქმე ერთბაშად მოითავეს. რა  
ექნათ? დასხდნენ და ელოდნენ ვერტმფრენს.

— ბიჭებო, როდემდე უნდა ველოდოთ?!

აგერ არ არის ნია?! — თქვა ჯემალ ფალა-

ვამ და გაურკვეველი მიმართულებით გაიშ-  
ვირა ხელი.

— მართლაც! — კვერი დაუკრა ომარ გა-  
ჩეჩილაძემ, — ათ წუთში იქ ვიქნებით! ერთი  
ტყე უნდა გავიაროთ, მეტი ხომ არა?!

— მაშ, გავწიოთ! — დაეთანხმენ ბიჭები.


აღარ დაელოდნენ ვერტმფრენის გამოჩე-  
ნას და ფეხით გასწიეს ნია-გრუზინსკაიასკენ.  
იარეს, იარეს და დაულამდათ კიდევ, მაგრამ  
ტაიგა, არადა, არ გათავდ, ვერც ნია-გრუ-  
ზინსკაიას მიაგნენ!..

— ხავსი მაინც პერნოდეთ ამ დალოცვილ ხე-  
ებს, რომ გავიგოთ ჩრდილოეთი საით არის?!

— ბუზლუნებდა ქუთაისელი ომარ გაჩეჩი-  
ლაძე.

— შენ, ძმაო, სალორიის ტყე ხომ არ გო-  
ნია ეს ტაიგა?! ნამდვილად სწორად მივდი-  
ვართ, მაგრამ ღმერთმა უნცის, როდის მივალ-  
ნევთ! — უსაყვედურა პავლე კირთაძემ, რო-  
მელსაც ცუდად თუ ბევრად გაეგებოდა ტაი-  
გის ასავალ-დასავალი.

აგერ-აგერ, ძაბილში ორი დღე გავიდა!.. ღა-  
მეს მონადირის ქოხებში ათევდნენ!.. ხილ-კენ-  
კროვანით იკვებებოდნენ!.. პოლოს, როგორც  
იქნა, ძლიერ მიაღწიეს ნია-გრუზინსკაიას!..  
სამაგიეროდ, კარგი გაკვეთილი მიიღეს: შემ-  
დეგ ქართული მასშტაბებით აღარ ზომავდნენ  
ტაიგის სიდიდეს!



„ნიანგის“ რადაეციის

ბრძანება

რაულ გაბურუშვილისადმი

ბამს მესამეჯერ ეწვია  
ჩვენი სპეცკორი რაული,  
ჩანაწერებით აავსო  
ორი საერთო რვეული!

ჩემოდნით ჩამოიტანა,  
ჯერ დალვინება აცალა,  
მერე დაწერა ამ ნომრის  
თითქმის სუყველა მასალა!

მან შეასრულა პირნათლად  
ძალიან დიდი მისია!  
(აქ დაბეჭდილი თემებიც  
და ვაცის ფოტოც მისია!)

რადგანაც რაულს ბამთან აქვს  
უმჭიდროესი კავშირი, —  
გადაუკეთდეს გვარი და  
ეწოდოს ბა მ ბუნაშვილი!

## აჲ, ბარათო, ბარათო!..


ბაშე მოგზაურობისას შემთხვე-  
ვით ვიძოვე ბარათი, რომლის მისამართი  
ნვიმას ნებაშალა, თუმცა ნერილი მთლიანად  
იყო შენახული. გადავწყვიტე მისი გამოქვეყ-  
ნება იმ იმედით, რომ წერილი ოვითონ იპო-  
ვის ადრესატი:

გამარჯობა, მარინე! იცი, როგორ მომენატ-  
რე, ჩემი ძვირფასო? ჩემი ბავშვებიც მომე-  
ნატრენენ ძალიან. მართალია, ქალშვილები  
არიან, თანაც ხუთნი, მაგრამ რუსთაველის  
აფორიზმი ხომ არ დაგავინყდა... თუმცა ამას  
თავი დავანებოთ! სიტყვამ მოიტან და, ისე,  
ერთი ბიჭი არ გვანენდა! კარგი!.. კარგი!..  
იმედი ნუ გადაინურე! რომ იცოდე, ჩენენთან  
სასწაულები ხდება: ვინც ინატრა, ყველას  
ბიჭი შეეძინა! არ გვერა? აა, ფაქტები: მშენე-  
ბელი კიქტორ მახარაძე რუსთავიდან მეულ-  
ლითა და სამი ქალიშვილით ჩამოვიდა ბამზე.

ინატრა და — ბიჭი შეეძინა! იმანაც გოქტირი  
დაარქვა სახელად! დინ რიდი იყო ჩამოსული  
მაშინ; ორი გოგო პყოლია; ეს ამბავი რომ  
გაიგო, გული არყოფა: ნეტავ, მეუღლესთან  
ერთად ჩამოვსულიყავო!

კიდევ არ გვერა? აა, მეორე ფაქტიც:

მანგლისილან არის გოგია ჩიკეტრი. ისიც  
სამი გოგონათი ჩამოვიდა აქ. მერე, აგერ,  
ბიჭი შეეძინა! კი არ დადის, სიხარულით დაფ-  
რინავს კაცი! გვირი, მთელი ბამი მარტო მა-  
გან ააშენოს, ისეთ გოგიათურ ძალაზე მო-  
ვიდა! სახელად „ბაიკალ-ამურის მა-  
გის ტრას“ არქმივდა, მაგრამ არაბად-  
ბის მონმობაში არ ჩაეტრა 3200 კილომეტრი  
სიგრძის ხაზი! ეტყობა, აქაური კლიმატი სა-  
სიკეთოდ მოქმედებს, ამიტომ კატეგორიულად  
გეუბნები, დაავლე ხელი მაგ ბალნებს და ნა-  
მოყვანე ბამზე!



ბაზი შრომით და პროცესიული განათლების უმაღლესი სკოლაა.  
ჩვენი მამულიშვილები მუშაობენ ყველგან: აგებენ ლიანდაგებს,  
გაჰყავთ გვირაბები, აშენებენ ხიდებსა და საცხოვრებელ სახლებს,  
ამავე დროს სწავლობენ ირკუტსკისა და ბრატსკის პოლიტექნიკურ  
და ინდუსტრიულ ინსტიტუტებში.

ნახ. ჯ. ლოლუასი



— რა დაამთავრეთ, ახალგაზრდა?

— ბამი!..

## ისტორიული ცნობა განვართებით

ამარიკის სინდიკატის ნარმომადგენელი  
ლიკ დე ლობელი სთავაზობდა რუსეთის მთავრო-  
ბას ალასკა-ციმბირის რკინიგზის ხაზის გაყვანას  
იმ პირობით, რომ 90 ნოის განმავლობაში დაემუშა-  
ვებინა ლიანდაგის გასწვრივ არსებული ტერიტორია  
24 კილომეტრის სიგანეზე. უფრო „შეღავათიანი“ იდეა  
ჰქონდა მეორე ამერიკულ სინდიკატს, რომელიც კის-  
რულობდა ტრანსციმბირის მაგისტრალური რკინიგ-  
ზის გაყვანას იმ პირობით, რომ სამუდამო სარგებ-  
ლობაში მიეღო მის გასწვრივ ჭადრაკულად სამკი-  
ლომეტრიან კვადრატებად დაყოფილი ტერიტორია,  
თითოს გამოტოვებით.

მაგრამ ისტორიამ სხვანაირად განსაჯა: ციმბი-  
რის მაგისტრალები მის მშენებელ საბჭოთა ხალხს  
ეუთვინის ჭადრაკულადაც, დიაგონალურადაც, სწო-  
რხაზობრივადაც და რაც მთავარია — სამუდამოდ!



ეროვნული განცემის

სატრიბუნალი „ნიკანორი“  
№ 3 (1589) თებერვალი  
გამოიცის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი სტატორი  
ზაურ ბოლქვაძე

სარედაციო  
კოლეგია:

ზაგუა აბირეჯიში  
ნოვაზი გართაია  
გორის გურგულია  
ნოდარ ღუმბაჩე  
რევაზ თვარაძე  
ჯვალ ლოლუა  
ნოდარ გალაზონია  
(მხატვარი-რედაქტორი)  
გლეხან სიხარულია  
(ახალგაზრდა მდივანი)  
ალექსანდრე სამსონია  
გიგლა ფირცხალავა  
ჯანელ ჩარავანი  
თამაზ წიგიგია  
გამაზ ჭანებილი  
(მთავარი რედ. მთავარი)  
ნავი ჯუსოითი

ტექნიკური რედაქტორი  
გიხეილ კუხალაშვილი

გადამცა ასაყობად  
6.1.81 წ.  
ხელმოწვევილია დასაგებდად  
10.2. 81 წ.  
გაღამდებარებული ზომა 70×108 1/2  
ფიზიკური საგებდი  
უზრუნველი 2  
სააღრიცხვო-საგამოხვევლო  
თარანი 1,7  
საქართველოს კა ცკ-ის  
გამომცემლობა,  
ლენინის ქ. № 14,  
შეკვეთა № 28. უ 08325.  
ტირაჟი 150,950.  
უზრნალი გამოდის  
ოვეში ორჯერ.  
რედაქციაში შემოსული  
მასალები ავტორებს  
არ უბრუნდებათ.

ნ 3 0 6 0 მ 0 ს 2 8 1 რ თ ი:  
380008, თბილისი-8, რუსთაველის  
პროსპექტი, № 42.  
ტ ე ლ ე ფ ი მ ნ ე ბ ი ბ ი: მთავარი  
რედაქტორის — 93-62-04, მთ.  
რედ. მთავარი — 93-19-42,  
პ/მ მდივნის — 93-10-78, მხა-  
ტვარი-რედაქტორის — 99-02-38,  
ვანყოფილებათა გამგების —  
93-49-32, რედაქტორ-ლიტერატურულის —  
99-02-38, მდივანი-მემან-  
ქანის — 99-76-69.

Сатирико-юмористический  
журнал «Н И А Н Г И»  
(На грузинском языке)

Тбилиси, пр. Руставели № 42.  
Издательство ЦК КП Грузии  
Типография Издательства ЦК  
КП Грузии, Тбилиси, улица  
Ленина № 14.  
ვაკე 20 კაბინი  
059960 76137



118  
25.11.81